# ჩემი ხარაგაული

www.chkh.org

12 ივნისი, პარასკევი 2014 წ. №23 (594) ყოველკვირეული დამოუკიდებელი გაზეთი • გამოდის 1998 წლის მარტიდან • ფასი 50 თეთრი



დღეს ნომერშია

რატომ არ გაიმართება მაჟორიტარული არჩევნები ვახანში 2 გვ.

მხარი დაუჭირეთ ქალებს პოლიტიკაში 3 გვ.

განცხადებები 7-8 გვ.


# 15 ივნისს თვითმმართველობის არჩევნებია

## რა შეუძლია ერთ ხმას

1645 წელს ერთმა ხმამ ოლივერ კრომველს ინგლისზე კონტროლი მოუტანა.

1646 წელს ერთი ხმა ინგლისის მეფე ჩარლზ პირველს სიკვდილით დასჯად დაუჯდა.

1868 წელს ერთმა ხმამ გადაარჩინა პრეზიდენტი ენდრიუ ჯონსონი იმპიჩმენტს.

1876 წელს ერთი ხმის უპირატესობით გახდა რეზერფორდ ჰეისი ამერიკის პრეზიდენტი.

1876 წელს ერთმა ხმამ საფრანგეთში მონარქიული წყობა რესპუბლიკურით შეცვალა.

1995 წელს ერთი ხმით მოუგო ირაკლი ბათიაშვილმა ირაკლი მაჭავარიანს ვაკის საარჩევნო ოლქში მაჟორიტარული არჩევნები.

# მაისში ადგილობრივი ბიუჯეტიდან 15 720 ლარის პრემია გაიცა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობიდან მოპოვებული ინფორმაციით, მაისში პრემია ცამეტმა საჯარო მოხელემ აიღო. ყველა მათგანზე პრემიის სახით ხელფასის ოდენობის თანხა გაიცა.

მაისში გამგებელმა კობა ლურმანაშვილმა და საკრებულოს თავმჯდომარე აკაკი მაჭავარიანმა 2 360-2 360 ლარი პრემია მიიღეს, გამგებლის ორმა მოადგილემ, - მიხეილ ჭიპაშვილმა და უშანგი ბერაძემ, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე კობა გოგსაძემ - 1 200-1 200 ლარი. გამგეობის კულტურის სამსახურის უფროსმა ირინე ჩხეიძემ და საკრებულოს აპარატის უფროსმა ლენა კალანდაძემ პრემიის სახით 1 000-1 000 ლარი მიიღეს, ბორითის, ბაზალეთის, ზვარისა და კიცხის ტერიტორიული ორგანოების რწმუნებულებმა ჯემალ მაღლაკელიძემ, ვარლამ ჭიპაშვილმა, ბერიკა ტალახაძემ და გია ჩხიკვაძემ - 900-900 ლარი. საკრებულოს ინფრასტრუქტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიების თავმჯდომარეებმა თემურ გამცემლიძემ და გია არევაძემ პრემიის სახით მაისში 900-900 ლარი აიღეს.

დაფინანსებული ფართი




# როინ ხიჯაკაძის ბიოგრაფია

**დაიბადა** ხარაგაულის რაიონის სოფელ ვარძიაში 1976 წლის 14 ივნისს. 1993 წელს დავამთავრე ვარძიის საშუალო სკოლა; 1999 წელს დავამთავრე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი სამართალმცოდნეობის სპეციალობით;

**პროფესიული გამოცდილება:** 1999-2000 წლები - ქალაქ თბილისის ადვოკატი; 2000-2004 წლები - საქართველოს დამცველთა ასოციაცია, პრეზიდენტი; 2004-2005 წლები - საქართველოს ანტიკორუფციული ცენტრი, სამართლის ექსპერტი; 2007–2009 წლები - „საერთაშორისო მუდმივმოქმედი არბიტრაჟი", თავმჯდომარე.

**პოლიტიკური გამოცდილება:** 2005 -2006 წლები - საქართველოს კონსერვატიული პარტია, იურისტი; 2006 წელი - საარჩევნო ბლოკის წარმომადგენელი ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში; 2006-2007 წლები - პოლიტიკური გაერთიანება „ხალხის პარტიის" დამფუძნებელი, პოლიტიკური საბჭოს წევრი, იურიდიული სამსახურის უფროსი; 2008 წელი - გაერთიანებული ოპოზიციიდან საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის წარმომადგენელი საოლქო საარჩევნო კომისიაში; 2009-2011 წლები - პოლიტიკური ბლოკი „ეროვნული საბჭო" - იურიდიული მდივანი. 2009 წელი - საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატი გაერთიანებული ოპოზიციის პროპორციული სიით; 2010 წელი - თბილისის საკრებულოს წევრობის მაჟორიტარი კანდიდატი; 2011- 2012 წლები - სარჩევნო ბლოკ „ქართული ოცნების" ცენტრალური შტაბის იურისტი, წარმომადგენელი სასამართლოებსა და ადმინისტრაციულ ორგანოებში.

**მყავს** მეუღლე - ლია ყანადაშვილი - პედაგოგი, შვილები ლუკა ხიჯაკაძე და ლიზი ხიჯაკაძე.

# საარჩევნო პროგრამის ძირითადი დებულებები

1. მოხდება საჯარო სამსახურის ოპტიმიზაცია და რეორგანიზაცია, რომლის შედეგადაც არსებითად შემცირდება ბიუჯეტიდან ანაზღაურებადი საჯარო მოსამსახურეების რიცხვი;

2. გაუქმდება ყოველგვარი პრემია და იგი დაინიშნება საგამონაკლისო წესით განსაკუთრებული დამსახურებისათვის;

3. გაუქმდება ყოველგვარი სახელფასო დანამატი საჯარო მოხელეებისათვის. ხელფასები (მათ შორის გამგებლისათვის) იქნება მთავრობის მიერ განსაზღვრულ ფარგლებში მინიმალური ოდენობით;

4. ყველა სოფელს ეყოლება არჩეული და არა დანიშნული რწმუნებული;

5. საჯარო სამსახურის რეორგანიზაციის შედეგად გამოთავისუფლებული საბიუჯეტო თანხები გადანაწილდება სოციალურ რისკ-ჯგუფებზე: პენსიონერებზე; სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფ პირებზე, რომლებსაც მოუხსნეს ან საერთოდ არ აქვთ დანიშნული სოციალური დახმარება; მრავალშვილიან ოჯახებზე; ობოლ ბავშვებზე; მძიმე სენით დაავადებულ პირებზე.

6. მცირეწლოვანთა და არასრულწლოვანთა მკურნალობა (ცენტრალური ბიუჯეტის მიერ დაუფინანსებლობის შემთხვევაში) დაფინანსდება სრულად (მათ შორის საქართველოს ფარგლებს გარეთ, თუ ეს აუცილებელია);

7. უსახლკაროთათვის უზრუნველყოფილი იქნება თავშესაფარი და საარსებო პირობები;

8. ყველა სოფელს ექნება გზა, ყველა მაცხოვრებელს ექნება მუდმივი წყალი, მოემსახურება ამბულატორია და კვალიფიციური სამედიცინო მუშაკი.

9. შეკეთდება ყველა ავარიული სახლი და ჩამონგრეული ან/და უვარგისი სახურავი;

10. მუნიციპალიტეტი მოიპოვებს უფლებას მის ტერიტორიულ ერთეულზე არსებული სახნავის, სათესის, სათიბის, საძოვარის, ტყის, ტბის, მდინარის საკუთრებაზე, რომელიც ამჟამად წარმოადგენს ცენტრალური ხელისუფლების საკუთრებას, და მიეცემა მისი გამოყენებისა და განკარგვის შესაძლებლობა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებთა სასარგებლოდ;

11. მუნიციპალური სესხების მეშვეობით სამუშაო ადგილების შექმნის მიზნით განხორციელდება ინიციატივა - თითო საწარმო თითო სოფელში; მოქმედი მეწარმეები ისარგებლებენ საგადასახადო შეღავათებით ადგილობრივ მოსაკრებლებთან მიმართებაში;

12. გაიზრდება სტუდენტთა დაფინანსება და განსაკუთრებულ შემთხვევებში სრულად დაფინანსდებიან ნიჭიერი სტუდენტები;

13. ამოქმედდება განათლების სფეროსა და კულტურის სფეროს მუშაკთა სოციალური უზრუნველყოფის მუნიციპალური პროექტი.

14. დაინერგება და განხორციელდება ახალი ინიცტივები სპორტისა და ტურიზმის სფეროში, დაიწყება ინვესტიციების მოზიდვის პროცესი უნიკალური ბუნებრივი რესურსის - მინერალური, სამკურნალო და მტკნარი წყლის მოპოვება-რეალიზაციისათვის.

# ძვირფასო მკითხველებო!

საარჩევნო სუბიექტებისა და მათი მხარდამჭერი შტაბების გაზეთის ფურცლებიდან არაერთგზის მოწოდების მიუხედავად, გამგებლობის სახელისუფლებო კანდიდატმა „ჩემ ხარაგაულთან“ საკუთარი ინიციატივით თანამშრომლობაზე (გაზეთსა და ვებგვერდზე რეკლამის განთავსება) თავი შეიკავა.

განეთავსებინა თუ არა რეკლამა „ჩემი ხარაგაულის“ ფურცლებსა და ვებზე, ბუნებრივია, ეს იყო კანდიდატისა და მისი საარჩევნო შტაბის გადასაწყვეტი.

ჩვენ, ჟურნალისტები, ვალდებულები ვართ, მოსახლეობას მივაწოდოთ ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაცია. ამომრჩეველს კი აქვს უფლება, ინფორმირებულად გააკეთოს არჩევანი.

აქედან გამომდინარე, გვინდა გაცნობოთ, რომ დამოუკიდებელი მედიაორგანიზაციის „ჩემი ხარაგაული“ და გამგებლობის სახელისუფლებო კანდიდატ კობა ლურსმანაშვილის ურთიერთობა, წელიწადნახევრის წინ მისი გამგებლად დანიშვნიდან დღემდე, არის ცალმხრივი.

ჩვენგან საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე მისგან პასუხებს დროულად ვიღებდით; თუმცა ის არ გრძნობს ვალდებულებას, რომ თავადაც გამოიჩინოს ინიციატივა „ჩემ ხარაგაულთან“ თანამშრომლობაზე, მოსახლეობისთვის საჯირო ინფორმაციის მისაწოდებლად.

ამაში, შესაძლოა, მას ხელს უშლის უსაფუძვლო ეჭვები და ცრუგანწყობა, - მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, - „არ ვიბეჭდები“ (?!).

ეჭვებმა, სხვა პირის უცოდინარობასა და არაკომპეტენტურობაზე დაყრდნობამ ის, ამ რამდენიმე თვის წინ, გაზეთ „ჩემი ხარაგაულის“ შეურაცხყოფასა და ცილისწამებამდეც კი მიიყვანა, რისთვისაც მას ჩვენთვის ბოდიშის მოხდა დასჭირდა. კობა ლურსმანაშვილისგან „ჩემი ხარაგაულისადმი“ შეურაცხყოფისა და ცილისწამების დამადასტურებელი, მისივე ხელმოწერილი დოკუმენტი რედაქციაში ინახება.

წინასაარჩევნო რეკლამის განთავსება გამგებლობის კანდიდატისგან იქნებოდა ჟესტი დამოუკიდებელ მედიასთან თანამშრომლობისკენ და კარგი შესაძლებლობა, მიეწვდინა საკუთარი ხმა „ჩემი ხარაგაულის“ გონიერი და მრავალრიცხოვანი მკითხველებისათვის.

გამგებლად მისი არჩევის შემთხვევაში, მას მოუწევს „ჩემი ხარაგაულისადმი“ განწყობისა და დამოკიდებულების კორექტირება, რადგან სწორედ დამოუკიდებელი მედიაა რეალური ხიდი საზოგადოებასთან ორმხრივი და ეფექტური ურთიერთობისთვის.

დამოუკიდებელ მედიასთან თანამშრომლობის დონე ერთგვარი ტესტია ამომრჩევლებისადმი ანგარიშვალდებულების ხარისხის.

**„ჩემი ხარაგაულის“ რედაქცია**

# გამგებლობისთვის სამი კანდიდატი იბრძვის

15 ივნისს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები გაიმართება. პირდაპირი წესით ასარჩევია მუნიციპალიტეტის გამგებელი და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო 35 წევრის შემადგენლობით. კანონით, მუნიციპალიტეტის საკრებულოში 20 ადგილი მაჟორიტარული წესით ასარჩევი დეპუტატებისთვისაა განკუთვნილი, 15 - პარტიული სიით ასარჩევთათვის.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლობისთვის საარჩევნო ბრძოლას აგრძელებს სამი კანდიდატი:

**№1 როინ ხიჯაკაძე** - საარჩევნო ბლოკი „არასაპარლამენტო ოპოზიცია - კახა კუკავა, ფიქრია ჩიხრაძე“;

**№5 ლაშა ნიქაცაძე** - საარჩევნო ბლოკი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“;

**№41 კობა ლურსმანაშვილი** - საარჩევნო ბლოკი „ქართული ოცნება“.

გამგებლობის კანდიდატი ალექსანდრე გაბუნია კანდიდატობიდან გაიწვია საარჩევნო სუბიექტმა „ნინო ბურჯანაძე - ერთიანი ოპოზიცია“.

პირადი განცხადების საფუძველზე რეგისტრაცია მოიხსნეს მაჟორიტარობის შემდეგმა კანდიდატებმა:

მაია დევდარიანმა (ბაზალეთის საარჩევნო ოლქი) და ნიკოლოზ ბუაჩიძემ (ფარცხნალის საარჩევნო ოლქი) - პ/გ „დავით თარხან მოურავი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“;

ქეთევან სარალიძემ (ვარძიის საარჩევნო ოლქი) - „ნინო ბურჯანაძე - ერთიანი ოპოზიცია“.

კანდიდატურა მოიხსნეს ვახანის საარჩევნო ოლქის ხუთივე კანდიდატმა.

ცვლილებებია საუბნო საარჩევნო კომისიებში. №5 მაქათუბნის საარჩევნო უბანში „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ ბაკურ გამცემლიძის ნაცვლად ირაკლი კურტანიძე დანიშნა. №7 უბისის საარჩევნო უბანში პ/გ „თავისუფალმა დემოკრატებმა“ დარეჯან ტალახაძის ნაცვლად გიორგი სებისკვერაძე დანიშნეს. ვინაიდან, ქალბატონი დარეჯანი თავმჯდომარის მოადგილედ იყო არჩეული, მის ნაცვლად მოადგილედ აირჩიეს ავთანდილ სებისკვერაძე. №15 მარელისის საარჩევნო კომისია საკუთარი განცხადების საფუძველზე დატოვა მარინე არევაძემ. სამსახურებრივი შეუთავსებლობის გამო №18 დეისის საუბნო საარჩევნო კომისია გია ლეჟავამ დატოვა. ამავე კომისიაში პ/გ „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ ნინო ლაცაბიძე სოფიო შონვაძემ შეცვალა. №19 ქვების საარჩევნო უბანში კომისიაში პ/გ „თავისუფალმა დემოკრატებმა“ კუკური ჭყოიძის ნაცვლად ნინო ნინიაშვილი დანიშნეს. №20 ნადაბურის საარჩევნო კომისიაში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისგან“ დანიშნული წევრი რამაზ გელაშვილი მაია გელაშვილმა ჩაანაცვლა. №35 საქარიქედის საარჩევნო კომისიაში „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ გულნაზი შავიძის ნაცვლად მანანა მესხი დანიშნა.



# გამოთავისუფლებული თანხა სოციალურ სფეროზე მიიმართება

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურულ და სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელ პროექტებს გაეცნო იმერეთის გუბერნატორი **ზაზა მეფარიშვილი** ადმინისტრაციული შენობის სააქტო დარბაზში. შეხვედრაში ტერიტორიული ორგანოების რწმუნებულები, გამგეობის სამსახურების, ა(ა)იპ-ების და საზოგადოების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. გუბერნატორმა გამგეობის შესაბამისი სამსახურების ხელმძღვანელებთან ერთად დეტალურად განიხილა მუნიციპალიტეტის მიმდინარე წლის ხუთი თვის ბიუჯეტის შემოსავლები და ხარჯები, სოციალური და კულტურული პროგრამები. შეხვედრაში მონაწილეობდა გუბერნატორის მოადგილე **ალეკო იოსებაშვილი** და „სოკარ-გაზის“ რეგიონული ხელმძღვანელი **დავით ჯაიანი**.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში 31% მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების შენახვას ხმარდება. რაც შეეხება ა(ა)იპ-ებს, მათ სუბსიდირებაზე გაწეული ხარჯების 78% ხელფასებზე იხარჯება. „ჩვენი მთავარი ამოცანაა, დასაქმება არა ადმინისტრაციული რესურსის, არამედ საწარმოების და სხვა ალტერნატიული რესურსის ხარჯზე, რაც ურთულესია არა მარტო ხარაგაულში, არამედ ყველგან,“ - აღნიშნა შეხვედრაზე **ზაზა მეფარიშვილმა**. მისივე თქმით, თვითმმართველობის ახალი კოდექსის ამოქმედების შემდეგ ადმინისტრაციული ხარჯი არ უნდა აღემატებოდეს ბიუჯეტის 25%-ს. ამას სჭირდება საკადრო პოლიტიკის სერიოზული რეორგანიზაცია. „სოციალურ პაკეტზე ბიუჯეტის 8-9% იხარჯება და მუნიციპალიტეტი ვერ უზრუნველყოფს სოციალურად დაუცველი მოქალაქეების ეფექტურად დახმარებას. ახალი კოდექსის ამოქმედების შემდეგ ყველა გამოთავისუფლებული თანხა სოციალურ სფეროზე მიიმართება. საზოგადოებას აღარ ექნება განცდა, რომ საბიუჯეტო თანხა იხარჯება მხოლოდ ხელისუფლების ხელფასებისთვის.“

გუბერნატორის ინფორმაციით, მიმდინარე წლის მეორე ნახევარში განსახორციელებელი პროექტების ნუსხა მუნიციპალიტეტებს მზად უნდა ჰქონდეთ ივლისში სახელმწიფო კომისიაზე წარსადგენად.

# რატომ არ გაიმართება ვახანში მაჟორიტარული არჩევნები

ვახანის საარჩევნო ოლქში რეგისტრირებულმა მაჟორიტარობის ხუთივე კანდიდატმა უარი განაცხადა არჩევნებში მონაწილეობაზე. **ვეფხვია ლონლაძემ** („ნინო ბურჯანაძე - ერთიანი ოპოზიცია“), **ვახტანგ მეგრელიშვილმა** („ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“), **ნოდარ გოგოლაძემ** („დავით თარხან-მოურავი საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“), **გენადი არევაძემ** („ქრისტიან-დემოკრატიული პარტია“), **მერაბ ლონლაძემ** („ქართული ოცნება“) 5 ივნისსმიმართეს №48 ხარაგაულის საოლქო საარჩევნო კომისიას კანდიდატურის მოხსნის მოთხოვნით.

კომისიის თავმჯდომარე **კახა გოლუბიანი** განმარტავს, რომ მათ განცხადებაში არ მიუთითესკანდიდატურის მოხსნის მიზეზი.

„ეს არის ჩვენი, ხუთივე კანდიდატის, შეთანხმება სოფლის ინტერესების შესაბამისად, ყურადღების მიქცევის მიზნით, რომ მერაბ არევაძის მკვლელობა თავიდან გამოიძიონ. გამოძიება უნდა ჩატარდეს ობიექტურად. ეს არის ჩვენი ძირითადი მიზანი. ის, რასაც აქამდე ჰქონდა ადგილი, არ არის სამართლიანობის აღდგენა და სამართალი,“ - ამბობს დეპუტატობის ყოფილი კანდიდატი **ვეფხვია ლონლაძე.**

**ნოდარ გოგოლაძე**, (მაჟორიტარობის ყოფილი კანდიდატი პ/გ-დან „დავით თარხან-მოურავი საქართველოს პატრიოტთა ალიანსი): -მერაბ არევაძის ოჯახმა სამართალი ვერ ნახა. ოჯახის მარჩენალი კაცი მოკლეს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს. არ შეიძლება ხალხის ასე მიტოვება. ოჯახმა პროტესტის ეს ფორმა გადაწყვიტა და ჩვენც გვერდით დავუდექით. სხვა გამოსავალი აღარ იყო. მორალური უფლება არ გვქონდა, რომ ამაზე წინ დაგვეყენებინა ჩვენი არჩევნები. პოლიტიკასთან მაჟორიტარობის კანდიდატურების მოხსნას არანაირი კავშირი არ აქვს. ჩვენი სურვილია, გამოიძიონ მერაბ არევაძის საქმე, სიმართლე გვითხრან.

შეგახსენებთ, რომ საუბარია 2012 წლის მაისში ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის რეინჯერის, მერაბ არევაძის მკვლელობაზე სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს.

ვახანში დეპუტატობის კანდიდატთა გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით ისაუბრა იმერეთის გუბერნატორმა **ზაზა მეფარიშვილმა** ხარაგაულში 6 ივნისს გამართულ შეხვედრაზე. მისი ინფორმაციით, 5 ივნისს მერაბ არევაძის მეუღლე და ძმა მაჟორიტარი დეპუტატის, ნოდარ ებანოიძის ინიციატივით, შეხვდნენ საოლქო პროკურატურაში იმთანამშრომლებს, ვინცმერაბ არევაძის საქმეს იძიებდა. „პირველი ორი ინსტანციის სასამართლომ დაადგინა, რომ მერაბ არევაძე მოკლულია, რაც დამნაშავის 20 წლით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებდა. დანაშაულის დაფარვა ედებოდა ბრალად მეორე ადამიანს.უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, ეს იყო სიცოცხლისგაუფრთხილებლობა, რის გამოც მეორე პირი გათავისუფლდა სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან, ხოლო დამნაშავეს შეუმცირდა სასჯელი. ჩვენ შევთანხმდითსამ საკითხზე: ცალკე დაიწყოს სისხლის სამართლებრივი ძიება იმ მტკიცებულებების მოსაპოვებლად, რაც შეიძლება დამატებით გარემოებად იქცეს და მოხდეს მისი ხელახალი განხილვა. ამავე დროს ოჯახს აქვს შეკითხვებიდანაშაულში მონაწილე პირებთან დაკავშირებით და მოითხოვეს ექსპერტიზა. ეს მოთხოვნები დაკმაყოფილებულია. ექსპერტიზის ხარჯებს დააფინანსებს ბატონი ნოდარ ებანოიძე. საუბარია ფირებზე, რომელიც არ დაერთო საქმეს მტკიცებულებად და საეჭვო გარემოებად არის მიჩნეული. ოჯახი ამბობს, რომ გარდაცვლილს სხეულში აღმოაჩნდა ტყვია, რომელიც ექსპერტიზაში არ აისახა. არის ასევე სიმბარათთან დაკავშირებული საკითხები. ოჯახის წევრებმა განაცხადეს, რომ ყველა ადამიანი არ იყო დაკითხული.

გუშინ ჩვენ გამოვხატეთ მხარდაჭერა და პირადად ჩემს კონტროლზეა აყვანილი, თუ რამდენად ობიექტურად წარიმართება ეს პროცესი. ვიმედოვნებ, რომ თავად ოჯახი მიიღებს, პირველ რიგში,შეკითხვებზე პასუხს და მერე საზოგადოება. მე მესმის სოფლის სოლიდარობა და მხარდაჭერა, მაგრამ გთხოვთ, რომ სამართლიანობის აღდგენის მოთხოვნა არ გადაიზარდოს პოლიტიკურ საკითხებში. გამგეობას, ჟურნალისტებს და დაინტერესებულ პირებსყოველთვის მივაწვდი ინფორმაციას ნებისმიერ საგამოძიებო მოქმედებაზე. საზოგადოების აზრია, რომ ეს ადამიანი მოკლეს და პასუხი უნდა აგონ მკვლელობაზე და არა სიცოცხლის გაუფრთხილებლობაზე. ვიმედოვნებ, რომ პროკურატურა ოჯახის ყველა შეკითხვას პასუხს გასცემს,“ - აღნიშნა იმერეთის გუბერნატორმა **ზაზა მეფარიშვილმა.**

**ნინო კაპანაძე**



**სალომე გამცემლიძე**
„არასაპარლამენტო ოპოზიციის“ მაჟორიტარობის კანდიდატი დაბა ხარაგაულის საარჩევნო ოლქში



**ქეთევან ზუმბაძე**
„ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარობის კანდიდატი დაბა ხარაგაულის საარჩევნო ოლქში



**მანანა ბარბაქაძე**
„ქართული ოცნების“ მაჟორიტარობის კანდიდატი ბორითის საარჩევნო ოლქში



**ირმა ალხაზიშვილი**
„ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარობის კანდიდატი ზვარის საარჩევნო ოლქში



**ინგა მაღრაძე**
„ქართული ოცნების“ მაჟორიტარობის კანდიდატი ლეღვნის საარჩევნო ოლქში

# ავირჩიოთ საკრებულოში ქალები

ცენტრალური საარჩევნო კომისიის უახლესი მონაცემებით, ხარაგაულის მუნიციპალიტეტში ამომრჩეველი ქალების რაოდენობა ოდნავ მეტია ამომრჩეველი მამაკაცების რაოდენობაზე. ხარაგაულელ ამომრჩეველთა შორის 10 225 ქალია, ხოლო 10 026 - მამაკაცი.

15 ივნისს ხარაგაულში უნდა ავირჩიოთ 35 წევრიანი საკრებულო, - თვითმმართველი ორგანო, რომელმაც შემდგომი 3 წლის განმავლობაში უნდა განსაზღვროს ჩვენი მუნიციპალიტეტის მომავალი, მიიღოს ჩვენთვის სასარგებლო და ეფექტური გადაწყვეტილებები.

გადაწყვეტილება მხოლოდ იმ შემთხვევაშია საზოგადოებისთვის სრულფასოვანი, როდესაც მის მიღებაში თანაბრად მონაწილეობენ ქალები და მამაკაცები.

ახლადარჩეული საკრებულოს მუშაობა რომ ჩვენთვის, - ამომრჩევლებისთვის სასარგებლო, ეფექტური, შედეგზე რეალურად ორიენტირებული, ჩვენი ოჯახებისა და შვილებისთვის მაქსიმალურად სასარგებლო იყოს, ხარაგაულის საკრებულოში მამაკაცებთან ერთად უნდა ავირჩიოთ ქალები.

გაინტერესებთ, რა თეორიული შანსი აქვთ ქალებს ხარაგაულის საკრებულოში ასარჩევად?
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ოც საარჩევნო ოლქში დარეგისტრირებული 97 კანდიდატიდან 18 ქალბატონია, 79 - მამაკაცი.
ხარაგაულის საარჩევნო ოლქში პროპორციული წესით ასარჩევთა პარტიული სიების პირველ ათეულებს თუ გადავხედავთ, დეპუტატობის ასი კანდიდატიდან 23 ქალბატონია, 77 კი მამაკაცი.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ დ. ხარაგაულის, მოლითის, ფარცხნალისა და ხუნევის საარჩევნო ოლქებში ორ-ორი, ხოლო წიფის საარჩევნო ოლქში სამი ქალბატონი იყრის კენჭს მაჟორიტარ დეპუტატად არჩევისთვის, საერთო ჯამში, ხარაგაულელებს საკრებულოში მხოლოდ 12 ქალბატონის არჩევის შესაძლებლობა გვაქვს მაჟორიტარული წესით.
გასათვალისწინებელია ისიც, რომ პარტიულ სიებში გამსვლელი პოზიციები მამაკაცებს უჭირავთ.

**ჩვენო ძვირფასო ხარაგაულელებო,** ქალბატონებო და ბატონებო, ვიდრე საარჩევნო ყუთთან მიხვალთ, ვიდრე საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებთ, კიდევ ერთხელ დაფიქრდით და თუ თქვენს საარჩევნო ოლქში კენჭს იყრის ღირსეული ქალბატონი, - მომავალი დეპუტატი, რომელიც ეფექტურად დაიცავს ჩვენი შვილებისა და ჩვენი ოჯახების ინტერესებს, მამაკაც დეპუტატებთან ერთად უნარიანად და კვალიფიციურად იზრუნებს ჩვენი მუნიციპალიტეტის ხვალინდელ დღეზე, მხარი დაუჭირეთ მას.

ქალბატონებო და მამაკაცებო, დაფიქრდით, ვინ იღებს ჩვენს ოჯახში გადაწყვეტილებას - მხოლოდ მამაკაცი თუ - მამაკაცი და ქალბატონი ერთად.
თუკი საკუთარი ოჯახების მართვაში აქტიურად მონაწილეობენ ქალები, - მეუღლეები, დედები, ქალიშვილები, სწორედაც რომ უნდა მივანდოთ მუნიციპალიტეტის მართვა მამაკაცებთან ერთად ქალბატონებს.
ანდეთ საკუთარი ხმა, გადაეცით დეპუტატის მანდატი ქალებს!

კვირას, 15 ივნისს, ყველა მივიდეთ თვითმმართველობის არჩევნებზე.
გამოვხატოთ საკუთარი ნება!
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ასარჩევი 35 დეპუტატიდან 12 მანდატი გადავცეთ ქალბატონებს!



**ცირა ფცქიალაძე**
„არასაპარლამენტო ოპოზიციის“ მაჟორიტარობის კანდიდატი მოლითის საარჩევნო ოლქში



**ზოია ტალახაძე**
„ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარობის კანდიდატი მოლითის საარჩევნო ოლქში



**ხათუნა ციცვიძე**
„არასაპარლამენტო ოპოზიციის“ მაჟორიტარობის კანდიდატი სარგვეშის საარჩევნო ოლქში



**ნინო ფხალაძე**
„არასაპარლამენტო ოპოზიციის“ მაჟორიტარობის კანდიდატი ფარცხნალის საარჩევნო ოლქში



**მარინე ტაბატაძე**
„ერთიანი ოპოზიციის“ მაჟორიტარობის კანდიდატი ხევის საარჩევნო ოლქში



**ნონა ზურაბიანი**
„ქართული ოცნების“ მაჟორიტარობის კანდიდატი ხიდრის საარჩევნო ოლქში



**მარიამ ნოზაძე**
„ნაციონალური მორაობის“ მაჟორიტარობის კანდიდატი ხუნევის საარჩევნო ოლქში



**ლენა აბაშიძე**
„ქართული ოცნების“ მაჟორიტარობის კანდიდატი ხუნევის საარჩევნო ოლქში



**მანანა ტაბაშიძე**
საინიციატივო ჯგუფის მაჟორიტარობის კანდიდატი ფარცხნალის საარჩევნო ოლქში



**რუსუდან გურგენიძე**
„არასაპარლამენტო ოპოზიციის“ მაჟორიტარობის კანდიდატი წიფის საარჩევნო ოლქში



**მზია ბანცაძე**
„ნაციონალური მორაობის“ მაჟორიტარობის კანდიდატი წიფის საარჩევნო ოლქში



**ნანული დევდარიანი**
საინიციატივო ჯგუფის მაჟორიტარობის კანდიდატი წიფის საარჩევნო ოლქში



**ირმა ფხალაძე**
„არასაპარლამენტო ოპოზიციის“ მაჟორიტარობის კანდიდატი წყალაფორეთის საარჩევნო ოლქში

დაფინანსებული ფართი

# რატომ უნდა დაგვიჭიროთ მხარი

2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგად ქვეყნის პოლიტიკური ხელისუფლების ცვლილების შემდეგ საზოგადოება დარწმუნებული იყო და გააჩნდა დიდი მოლოდინი იმისა, რომ სხვა მრავალ სიკეთესთან ერთად საგრძნობლად გაუმჯობესდებოდა თითოეული ადამიანის საყოფაცხოვრებო პირობები. სწორედ ამ იმედით და იმის გათვალისწინებით, რომ ჩემი რწმენით შეიქმნა გარემო კრეატიული ადამიანებისათვის კერძო ინიციატივების განსახორციელებლად, საპარლამენტო არჩევნების დასრულებისთანავე დავიწყე და განვახორციელე რამდენიმე ბიზნესპროექტი და უარი ვთქვი საჯარო სამსახურზე, რადგან მიმაჩნდა, რომ ეს სფერო პატიოსანმა, საზოგადოებაზე მზრუნველმა ადამიანებმა ჩაიბარეს. სამწუხაროდ ჩემი, როგორც საზოგადოების უმრავლესობის, მოლოდინი არათუ არ გამართლდა, არამედ კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ ხელისუფლების როგორც ცენტრალურ, ასევე ადგილობრივ ერთეულებში ადგილები დაიკავეს უუნარო მედროვეთა ჯგუფებმა, რომელთა მიზანია რაც შეიძლება დიდხანს შეინარჩუნონ საჯარო თანამდებობრივი პოზიციები, რათა სახელმწიფო თუ მუნიციპალური ბიუჯეტის ხარჯზე შეიქმნან რაც შეიძლება მეტი გარანტია კომფორტული ცხოვრებისათვის. ჩემთვის, როგორც ერთი ადამიანისათვის, რომელიც იდეურადაც და პრაქტიკულადაც ვიყავი დღევანდელი ხელისუფლების მხარდამჭერი და თანამებრძოლი, ცხადი გახდა, რომ ადგილობრივი ხელისუფლების დონეზე განხორციელდა მხოლოდ სახელებისა და გვარების ცვლილება, ძალადობა ჩაანაცვლა სიცრუემ, სხვა რაიმე სასიკეთო ძვრა, რაც სამომავლო პერსპექტივისაკენ მაინც მიგვითითებს, არ მომხდარა.

მიმაჩნია, რომ ერთერთი ძირითადი პრობლემა, გარდა იმისა, რომ მმართველებს არ გააჩნიათ მენეჯერული მმართველობის უნარები (შესაბამის გამოცდილებასთან და კვალიფიკაციასთან ერთად), ასევე არის საჯარო სამსახურის მიმართ მენტალური დამოკიდებულება. საჯარო სამსახური განიხილება როგორც ზოგადად არსებობის, ასევე კარგი ცხოვრებისა და ფუფუნების საშუალებად, რაც, ჩემი აზრით, მხოლოდ და მხოლოდ უუნარო, არაკრეატიული ადამიანების მენტალიტეტია.

ხარაგაულის მაგალითზე შეიძლება ითქვას, რომ ხელისუფლების ცვლილებით ისარგებლა იმ რამდენიმე ადამიანმა, რომელთაც წილად ხვდათ „ბედნიერება“ დაემკვიდრებინათ თავი მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში. ახლად დანიშნულმა გამგებელმა გადადგა სრულიად გაუმართლებელი ნაბიჯი და პოლიტიკური მხარდამჭერების გამრავლების მიზნით ყოველგვარი ობიექტური კრიტერიუმებისა და საჭიროების არსებობის გარეშე ბიუჯეტის ხარჯზე დამატებით „დაასაქმა“ რამდენიმე ათეული ადამიანი. აღნიშნული ქმედების შედეგად არარსებული სამუშაოს შესრულებაში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დამატებით იფლანგება ერთ მილიონ ლარზე მეტი, სულ კი ხელფასებსა და პრემიებზე ხუთ მილიონიანი ბიუჯეტიდან სამნახევარ მილიონ ლარზე მეტი იხარჯება.

(ამთავითვე უნდა ვთქვა, რომ იმისათვის, რათა გადაწყვეტილების მიღების პროცესში რაც შეიძლება მეტად გამოირიცხოს შეცდომების დაშვება, აუცილებლად მიმაჩნია მუნიციპალიტეტის გამგებელთან იფუნქციონიროს სათათბირომ, რომლის შემადგენლობაშიც შევლენ ამა თუ იმ დარგის (განათლების, კულტურის, მედიცინის, ინფრასტრუქტურის, ბიზნესის ადმინისტრირების და სხვ.) მაღალი რანგის გამოცდილი პროფესიონალები).

იმ ფონზე, როდესაც არ არსებობს მუნიციპალიტეტის განვითარების პერსპექტიული გეგმა, როდესაც პრიორიტეტები საერთოდ არაა განსაზღვრული, როდესაც ადამიანებისადმი ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა დამოკიდებულებას განსაზღვრავს ნათესაობა ან/და მათი სანდოობა პოლიტიკური თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, იჩაგრება ის ადამიანი, რომელიც ყველაზე მეტად იმსახურებს ან/და საჭიროებს ადგილობრივი ხელისუფლების ყურადღებას და თანადგომას. აქ მხედველობაში მყავს მუნიციპალიტეტში მცხოვრები ძალიან ბევრი ნიჭიერი და განათლებული ადამიანი (განსაკუთრებით ახალგაზრდები), რომლებიც მუნიციპალიტეტში გაბატონებული ნეპოტიზმისა და ზემოაღნიშნული პრობლემების გამო ვერ ახერხებენ დაიკავონ ადგილები საჯარო სამსახურში და ასევე ადამიანები, რომელთა სოციალური ან/და ჯანმრთელობის მდგომარეობა აუცილებლად საჭიროებს ადგილობრივი ხელისუფლების თანადგომას, მაგრამ არსებული სახელფასო და საპრემიო პოლიტიკის წყალობით ბიუჯეტში მათთვის არანაირი თანხები აღარ რჩება.

დასახელებული პრობლემიდან გამოსავალს წარმოადგენს საჯარო სამსახურის რეორგანიზაციისა და ოპტიმიზაციის პროცესის მყისიერი განხორციელება. მუნიციპალიტეტს უნდა მოემსახუროს იმდენი საჯარო მოხელე, რამდენიც არის საჭირო საჯარო და არა პოლიტიკური მიზნებისათვის. ამასთანავე აუცილებელია საჯარო მოხელეთა შერჩევა მოხდეს ობიექტური კონკურსის საფუძველზე, მოხელის დანიშვნისათვის არ შეიძლება გადამწყვეტი იყოს კონკურსისშემდგომი გასაუბრება გამგებელთან, რაც აზრს უკარგავს ყოველგვარ კონკურსს. ამ პროცესის შედეგად მუნიციპალიტეტი მიიღებს: 1. საჯარო მოხელეთა პროფესიონალურ გუნდს, რომელიც მოწოდებული იქნება ხალხის სამსახურისათვის და რომელიც მზად იქნება ყოველგვარი პრემიებისა და სხვა სახელფასო დანამატის გარეშე დანიშნული ჯამაგირი იკმაროს შესრულებული სამუშაოსათვის. უნდა გაუქმდეს ყოველგვარი პრემია და იგი შესაძლოა დაინიშნოს საჯარო მოხელისათვის საგამონაკლისო წესით განსაკუთრებული დამსახურებისათვის 2. ბიუჯეტში დაიზოგება და სოციალური პრობლემებისა და პროქტებისათვის შესაძლებელი იქნება დამატებით ორი მილიონი ლარის დახარჯვა, რაც ნიშნავს: ოპერაციებისათვის თანადაფინანსების გაორმაგებას, პენსიონერებისა და მაღალი რისკის ავადმყოფებისათვის წამლის თანხის სრულ დაფინანსებას, მცირეწლოვანთა და არასრულწლოვანთა ოპერაციებისა სხვა მწვავე დაავადებათა სრულ დაფინანსებას (საყოველთაო დაზღვევით დაუფინანსებლობის შემთხვევაში), გადაადგილების შესაძლებლობის არმქონე პირთათვის (შშმ პირები, რომლებიც სულ რამდენიმეა) თანამედროვე ელექტრო ეტლების შეძენას, ყველა სოციალურად დაუცველისათვის, რომელსაც უსამართლოდ მოუხსნეს ან საერთოდ არ დაუნიშნიათ დახმარება, საარსებო საშუალებით უზრუნველყოფას, სოფლად მცხოვრები ყველა პირის უზრუნველყოფას კვალიფიციური სამედიცინო-ამბულატორიული მომსახურებით.

მუნიციპალიტეტის უპირველესი ვალდებულებაა არ არსებობდეს ადამიანი თავშესაფრის გარეშე. ასეთი ადამიანებისათვის უნდა გამოიყოს მუნიციპალური საკუთრების შენობა-ნაგებობები და ეს ადამიანები უნდა იქნენ უზრუნველყოფილი საარსებო პირობებით. შეკეთდება ყველა ავარიული სახლი. მეწყერსაშიშ ადგილებში მცხოვრები ოჯახები უზრუნველყოფილი იქნებიან ადგილმონაცვლეობით და შესაბამისი კომპენსაციებით.

აუცილებელია შეიცვალოს მიდგომა საზოგადოებრივი ცხოვრების სფეროებისადმი. დაუშვებლად მიმაჩნია პოლიტიკა, როდესაც სოფლის რწმუნებულს, რომელსაც უმაღლესი განათლების ცენზიც კი არაა აქვს დაწესებული, ხელფასის სახით განესაზღვროს 1000 ლარი, როდესაც იმავე სოფლის სკოლის პედაგოგის ან თუნდაც ექიმის ხელფასი 200-დან 400 ლარის ფარგლებში მერყეობს. აუცილებელია მუნიციპალიტეტმა შეიმუშაოს და განახორციელოს განათლებისა და კულტურის სფეროში მუნიციპალური პროექტი, რომელიც აღმოფხვრის ამ უსამართლობას, რადგან ეს პრობლემა, გარდა მიმდინარე ნეგატიური დამოკიდებულებისა, ასევე ნეგატიურად მოქმედებს მომავალ თაობაზე. რაც შეეხება სოფლის რწმუნებულებს, მიმაჩნია, რომ ისინი არ უნდა ინიშნებოდნენ გამგებლის დამოუკიდებელი შეხედულებით, მათ უნდა ირჩევდეს და გამგებელს დასანიშნად წარუდგენდეს სოფელი, რაც განაპირობებს მათ დამოკიდებულებას სოფელზე და არა გამგებელზე.

მუნიციპალიტეტმა უნდა იკისროს ვალდებულება და განსაკუთრებულ შემთხვევებში სრულად დააფინანსოს ნიჭიერი სტუდენტების სწავლა. ბიუჯეტში უნდა გაორმაგდეს თანხა სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან სტუდენტების ფინანსური მხარდაჭერის მიზნით.

მუნიციპალიტეტში მუნიციპალური განვითარების პროექტების ფარგლებში მიმდინარე პროექტების პარალელურად (რაც ფინანსდება მიზნობრივი ტრანსფერებით) მუნიციპალიტეტმა უნდა განახორციელოს სოფლის საუბნო გზების შეკეთება და სოფლის ყველა მცხოვრების უზრუნველყოფა მუდმივი წყლით.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტს გააჩნია საკმაოდ დიდი პოტენციალი სამუშაო ადგილების შექმნის თვალსაზრისით. მაგალითისათვის შეიძლება ითქვას, თუ როგორ იყენებს ადგილობრივ რესურსს (ქვიშა-ღორღის გადამუშავება) ჩინური კომპანია, რომელსაც არათუ რაიმე სარგებელი არ მოაქვს მუნიციპალიტეტისათვის, ზიანს აყენებს მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურას და ეკოლოგიას. ცოტამ თუ იცის, რომ თვითმცლელზე მომუშავე ჩინელი მძღოლის ხელფასი თვეში 15 000 აშშ დოლარს აღემატება, რაც სრულიად საკმარისი იქნებოდა 20 ადგილობრივი მუშახელის დასაქმებისათვის საშუალო 1000 ლარიანი ანაზღაურებით. ერთადერთი პრობლემა, რის გამოც ეს ვერ ხდება, არის ადგილობრივი ხელისუფლების უმოქმედობა და (ალბათ) რაღაც სახის კორუფციული ინტერესი. გარდა აღნიშნულისა, აბსოლუტურად ყურადღების მიღმაა დატოვებული უნიკალური მინერალური, სამკურნალო და მტკნარი წყლის მარაგების თემა, სადაც შესაძლებელია არაერთი საინვესტიციო პროექტის განხორციელება.

სამუშაო ადგილების შექმნის მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან აუცილებლად უნდა გაიცეს მუნიციპალური სესხები, რომლითაც დაფინანსდება თითოეული სოფლის პოტენციალიდან გამომდინარე შესაბამისი ბიზნესპროექტი. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საგულისხმო და პერსპექტიულია სამასალე ხე-ტყის გადამუშავება (ამჟამად დიდი რაოდენობით სამასალე ხე-ტყე გაედინება მუნიციპალიტეტიდან), მეცხოველეობა, მეთევზეობა. მუნიციპალიტეტი გასცემს სესხს და დააფინანსებს სოფლად საწარმოს შექმნის ნებისმიერ დასაბუთებულ ინიციატივას.

მუნიციპალიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას გაამახვილებს ტურიზმის განვითარების ხელშეწყობაზე. ამ თვალსაზრისით აუცილებელია დარგის მუშაკების მონაწილეობით შემუშავდეს და განხორციელდეს ახალი ინიციატივები.

მიგვაჩნია, რომ ზემოაღნიშნული პროგრამის განხორციელება სრულიად რეალური, საზოგადოების ინტერესების შესაბამისი და იმ განვითარების მომტანია, რომელსაც არც ერთი სხვა პოლიტიკური ძალა არ სთავაზობს მოსახლეობას. აი, რატომ უნდა დაგვიჭიროს მოსახლეობამ.

**როინ ხიჯაკაძე**

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლობის კანდიდატი საარჩევნო ბლოკიდან „არასაპარლამენტო ოპოზიცია“ (კახა კუკავა, ფიქრია ჩიხრაძე)



როინ ხიჯაკაძე მეუღლესთან და შვილებთან ერთად




# ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები 2014 წლის 15 ივნისი

## ამომრჩეველთა საყურადღებოდ!

### კენჭისყრა იმართება 08.00 საათიდან 20.00 საათამდე



კენჭისყრის შენობაში შესვლისას ნაკადის მომწესრიგებელ კომისიის წევრს წარუდგინეთ პირადობის მოწმობა (იძულებით გადაადგილებული პირის შემთხვევაში აგრეთვე დევნილის მოწმობა) ან პასპორტი და გაიარეთ მასთან მარკირების შემოწმების პროცედურა

**თუ აღმოჩნდა, რომ გაქვთ მარკირება, არ მოგეცემათ კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება**



მარკირების შემოწმების პროცედურის გავლის შემდეგ მიდით სარეგისტრაციო მაგიდასთან და რეგისტრატორს წარუდგინეთ პირადობის მოწმობა (იძულებით გადაადგილებული პირის შემთხვევაში აგრეთვე დევნილის მოწმობა) ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი

გაიკეთეთ მარკირება

**მარკირებაზე უარის თქმის შემთხვევაში არ მოგეცემათ კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება**



ამომრჩეველთა სიაში თქვენი გვარის გასწვრივ გააკეთეთ ხელმოწერა

მიიღეთ რეგისტრატორისგან ბეჭდითა და ხელმოწერით დამოწმებული საარჩევნო ბიულეტენები




კენჭისყრის კაბინაში შემოხაზეთ თქვენთვის სასურველი ერთი საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომერი (ყოველ საარჩევნო ბიულეტენში)

თუ დამოუკიდებლად არ შეგიძლიათ შეავსოთ საარჩევნო ბიულეტენი, უფლება გაქვთ, კენჭისყრის კაბინაში დასახმარებლად მიიწვიოთ ნებისმიერი პირი, გარდა საარჩევნო კომისიის წევრისა, კანდიდატისა, საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლისა, დამკვირვებლისა

**თუ გაგიფუჭდათ საარჩევნო ბიულეტენი, მიმართეთ საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, გადაეცით გაფუჭებული და მოითხოვეთ ახალი საარჩევნო ბიულეტენი**



კენჭისყრის კაბინიდან გამოსვლის შემდეგ აიღეთ სპეციალური კონვერტი და დაკეცილი საარჩევნო ბიულეტენები მოათავსეთ მასში

სპეციალური კონვერტი მოათავსეთ საარჩევნო ყუთში

**კენჭისყრაში მონაწილეობის შემდეგ, გთხოვთ, დატოვოთ საარჩევნო უბანი**

ცესკო
საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

**ცესკოს ცხელი ხაზი: 2510051**

საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების
ცენტრი

დაფინანსებული ფართი

# დავით თარხან-მოურავი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი

### 1. მუნიციპალური ბინათმშენებლობა

ჩვენ დავიწყებთ ბინათმშენებლობას. ჩვენი მოქალაქეები შეიძენენ ბინებს 20 წლიანი განვადებით, უპროცენტოდ, წინასწარი შენატანის გარეშე, უკიდურესად გაჭირვებულებს კი ბინებს ვაჩუქებთ. თბილისში ყოველწლიურად 2 000 ოჯახს გაუჩნდება საკუთარი ჭერი. 200 ბინას კი გაჭირვებულ ოჯახებს ვაჩუქებთ. ქუთაისში ყოველწლიურად 400 ოჯახს დავაბინავებთ, 40 გაჭირვებულს კი ბინით დავასაჩუქრებთ. ბათუმში ყოველწლიურად 200 ოჯახს დავაბინავებთ, 20 გაჭირვებულს კი ბინით დავასაჩუქრებთ. ამგვარი პროექტი განხორციელდება ყველა ქალაქში, სადაც ჩვენ გავიმარჯვებთ.

### 2. უფასო პოლიკლინიკა და ჰოსპიტალი

თბილისში ამოქმედდება სრულიად უფასო 25 მუნიციპალური პოლიკლინიკა და ერთი მუნიციპალური ჰოსპიტალი, სადაც ყოველგვარი გადასახადის გარეშე, სრულიად უფასოდ გაჭირვებულ ადამიანებს სამედიცინო დახმარებას გაუწევენ. ქუთაისში ამოქმედდება სრულიად უფასო 10 მუნიციპალური პოლიკლინიკა და ერთი მუნიციპალური ჰოსპიტალი, თელავში ამოქმედდება სრულიად უფასო 5 მუნიციპალური პოლიკლინიკა და ერთი მუნიციპალური ჰოსპიტალი და ამგვარად ყველა ქალაქში, სადაც ჩვენ გავიმარჯვებთ.

### 3. მიკრო და მინი ბიზნესის დაფინანსება-დახმარება

ჩვენ შევქმნით სპეციალურ ფონდს, რომელიც ყოველგვარი გირაოსა და გარანტიის გარეშე გასცემს 4-8 წლიან სესხებს, რათა ჩვენმა მოქალაქეებმა შექმნან მინი და მიკრო ბიზნესი. სესხების მოცულობა იქნება 10 000 ლარიდან 50 000 ლარამდე. ფონდი დამწყებ მეწარმეებს დაეხმარება ფართით, გამოუყოფს ბუღალტერს, იურისტს, თანამმართველს და დაეხმარება სანამ მეწარმე „ფეხზე დადგება“. თბილისში, ქუთაისში, ბათუმსა და ფოთში, რუსთავსა თუ ოზურგეთში, ყველგან, სადაც ჩვენ გავიმარჯვებთ, ასეულობით ოჯახი შექმნის თავის მიკრო და მინი ბიზნესს.

### 4. განათლება

თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, რუსთავსა და ფოთში, ყველგან, სადაც ჩვენ გავიმარჯვებთ, ათასეულობით ადამიანს შევასწავლით კომპიუტერულ პროგრამირებას, სრულიად უფასოდ. ნებისმიერი მოქალაქე 14-დან 51 წლამდე ისწავლის კომპიუტერული პროგრამების შექმნასა და მათ გაყიდვას სახლიდან გაუსვლელად ევროპასა თუ ამერიკაში.

### 5. სოციალური ზრუნვა - უფასო კვება, უფასო სამოსი, უფასო ტრანსპორტი, დასაქმება

ა) ყოველდღიური, უფასო ულუფა თბილისის მოსახლეობის ყველა ფენისთვის. უფასო სასადილოებში მოქალაქე მიიღებს შეუზღუდავი რაოდენობით ულუფას: ცხელი, ვიტამინიზირებული წვნიანი, პური, ჩაი. ნებისმიერი მოქალაქე სპეციალური ჭურჭლით, სასურველი რაოდენობის ულუფას წაიღებს სახლში;

ბ) თბილისში, ქუთაისში, ბათუმსა და ფოთში, რუსთავსა თუ ოზურგეთში, ყველგან, სადაც ჩვენ გავიმარჯვებთ, იმოძრავებს „მწვანე ავტობუსი“, საათში ერთხელ ყველა მარშრუტზე სრულიად უფასოდ;

გ) დედაქალაქის მუნიციპალიტეტი გახსნის სპეციალურ სამკერვალოებს, სადაც გაჭირვებულებისთვის შეიკერება ქურთუკი, პერანგი, შარვალი და ფეხსაცმელი; სეზონურად გაჭირვებული ადამიანები დასაჩუქრდებიან სამოსით;

დ) თბილისში, ქუთაისში, ბათუმსა და ფოთში, რუსთავსა და თუ ოზურგეთში, ყველგან, სადაც ჩვენ გავიმარჯვებთ, ქალაქების მასშტაბით აღირიცხება მზრუნველობამოკლებული ბავშვების რაოდენობა. ისინი განთავსდებიან მუნიციპალური დაქვემდებარების ბავშვთა პანსიონში, სადაც უზრუნველყოფილნი იქნებიან განათლების მიღებისა და ცხოვრების პირობებით;

ე) თბილისში, ქუთაისში, ბათუმსა და ფოთში, რუსთავსა თუ ოზურგეთში, ყველგან, სადაც ჩვენ გავიმარჯვებთ, გაიხსნება უფასო, მუნიციპალური ახალი საბავშვო ბაღები.

## დავით თარხან-მოურავი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსის მთავარი პრიორიტეტები იქნება:

- პატიმრების უფლებების დაცვა;
- დავით გარეჯის მონასტრის გადარჩენა;
- სვანეთის საგანძურის გადარჩენა;
- „აზიზეის მეჩეთის“ მშენებლობის შეჩერება;
- ქართული მიწების გაყიდვის აკრძალვა;
- საყდრისის საბადოს გადარჩენისთვის ბრძოლა.



# ჩვენ შევქმენით რეალური მესამე ძალა

## შემოხაზეთ №8 - პ/გ „დავით თარხან-მოურავი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“



გფარავდეთ უფალი, ჩემო ხარაგაულელებო. პირველ რიგში მინდა მოგესალმოთ და აღვნიშნო, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები, რომელიც 15 ივნისს უნდა გაიმართოს, მიუხედავად თავისი ბევრი ნაკლისა, მაინც განსხვავებულია წინა არჩევნებისაგან; კერძოდ, მოხსნილია ის შიში და ზეწოლაც, რაც წინა ხელისუფლების დროს ხორციელდებოდა და ამაში უდიდესი წვლილი წინააღმდეგობის მოძრაობას მიუძღვის, რომლის ბაზაზეც შეიქმნა სწორედ „პატრიოტთა ალიანსი“. ჩვენმა პარტიამ ნამდვილად მოახერხა და შექმნა მესამე ძალა, ე.ი. ვკრიბავთ „გაკრეფილ შუას“ და იცით რატომ? ამას ობიექტურად ვერ შესძლებდნენ გუშინ ან გუშინწინ ნაცმოძრაობიდან გამოსული ძალები. ხშირად მეკითხებიან, სულ ოპოზიციაში როგორ ხარ? დიახ, ყველა იმ პარტიის ოპოზიცია ვიქნები, რომელიც თავის დანაპირებს არ შეასრულებს (ასეა ახლაც), თუნდაც ეს ჩვენი პატრიოტთა ალიანსი იყოს. ეს პარტია ყველა გამოკითხვით და მისი მზარდი რეიტინგიდან გამომდინარე, უკვე ერთ-ერთი ლიდერია. იმედია, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები ჩვენი გამარჯვებითაც დამთავრდება და საკრებულოს წევრის მანდატით აღჭურვილებს შესაძლებლობა გვექნება, მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი ხალხისათვის, მუნიციპალიტეტისათვის საკეთილდღეო და სასარგებლო გადაწყვეტილებები მივიღოთ.

**-ბატონო თეიმურაზ, გვიამბეთ თქვენი გუნდის შესახებ.**

-სანამ ჩვენი გუნდის წევრებზე ხარაგაულის მოსახლეობასთან ვისაუბრებ, მინდა აღვნიშნო, რომ მიუხედავად საარჩევნო გარემოს ერთგვარი გაუმჯობესებისა, ზოგიერთი მიმართულებით პირობები გაუარესებულია. საარჩევნო კომისიები კოალიცია „ქართული ოცნებისა“ და ნაცმოძრაობის გარდა სხვებისათვის ხელმიუწვდომელია. ამასთან საარჩევნო კომისიებს მოხსნილი აქვთ ვალდებულება არჩევნებში მონაწილე ყველა პარტიისათვის მოაწყოს ერთობლივი შეხვედრები, სადაც შესაძლებელი იქნებოდა, ამომრჩეველს ერთმანეთისათვის შეედარებინა ესა თუ ის პარტია თუ პიროვნება. არა მგონია, დებატებში რომელიმე პარტიას ჩვენი არგუმენტები გაებათილებინა ან სერიოზული წინააღმდეგობა გაეწია.

წარმოგიდგენთ პარტიულ სიას და მაჟორიტარობის კანდიდატებს:

1. **თეიმურაზ ფქციალაძე** - მაჟორიტარობის კანდიდატი დ. ხარაგაულის საარჩევნო ოლქში;
2. **ავთანდილ ყრუაშვილი** - მაჟორიტარობის კანდიდატი საღანძილის საარჩევნო ოლქში;
3. **ნოდარი გოგოლაძე** - პარტიული სიით;
4. **გია დევდარიანი** - მაჟორიტარობის კანდიდატი წყალაფორეთის საარჩევნო ოლქში;
5. **ბადრი შარიქაძე** - მაჟორიტარობის კანდიდატი ლეღვანის საარჩევნო ოლქში;
6. **მაია დევდარიანი** - პარტიული სიით;
7. **იულონ კოპაძე** - მაჟორიტარობის კანდიდატი ღორეშის საარჩევნო ოლქში;
8. **გოგა კაკანაძე** - მაჟორიტარობის კანდიდატი მოლითის საარჩევნო ოლქში;
9. **დავით ლომიძე** - მაჟორიტარობის კანდიდატი ხუნევის საარჩევნო ოლქში;
10. **მალხაზ წიქარიშვილი** - მაჟორიტარობის კანდიდატი ბორითის საარჩევნო ოლქში;
11. **მერაბ ბლუაშვილი** - პარტიული სიით;
12. **ვარდო სხილაძე** - პარტიული სიით;
13. **მაია კიკნაძე** - პარტიული სიით;
14. **გურამ მაისურაძე** - პარტიული სიით;
15. **დავით ბოჭაძე** - პარტიული სიით;
16. **გია შარიქაძე** - პარტიული სიით;
17. **კახაბერ კიკნაძე** - პარტიული სიით. საკუთარი სურვილით მოიხსნა ლაშის მაჟორიტარობის კანდიდატობიდან.

მოსახლეობასთან შეხვედრისას თუ გამოკითხვებით ჩვენ მაჟორიტარ დეპუტატობის კანდიდატებს აქვთ მანდატის მოპოვების შანსი, მაგრამ მათ შორის მაინც განსაკუთრებით - წყალაფორეთის (გია დევდარიანს), ღორეშის (იულონ კოპაძეს), ლეღვნის (ბადრი შარიქაძეს) კანდიდატებს. ჩემი აზრით, მათ არ უნდა გაუჭირდეთ აღნიშნულ ოლქებში გამარჯვება თავიანთი პიროვნული ღირსებებისა და იმის გამო, რომ მათი მოწინააღდეგეები არა „ქართული ოცნების“ პარტიის წევრები, არამედ რესპუბლიკელები არიან, რომელთა რეიტინგი, რესპუბლიკური პარტიის მიერ ანტიდისკრიმინაციული კანონის თავგადაკლული ლობირებისა და თვით პატრიარქის აზრისადმი მისი ლიდერების საყოველთაოდ ცნობილი დამოკიდებულების გამო კიდევ უფრო დაეცა.

**-ბატონო თეიმურაზ, თქვენ დაბა ხარაგაულის დეპუტატობის კანდიდატი ბრძანდებით. აქ კი თქვენი მოწინააღდეგე პარტია „ქართული ოცნების“ კანდიდატიცაა, განსხვავებით ზემოთ ნახსენები ოლქებისა. რას იტყვით ამის შესახებ?**

-არა მარტო აქ, „ქართული ოცნების“ კანდიდატები არიან ჩვენი მოწინააღმდეგეები საღანძილის, მოლითის, ხუნევის და სხვა მაჟორიტარ ოლქებშიც. რაც შეეხება დაბა ხარაგაულს, თუ წინა წლების მონაცემებს გადავხედავთ დაბაში (რომელსაც სხვათა შორის, 8 წელია დეპუტატი არ ჰყავს), საერთო ჯამში, ოპოზიცია უგებდა ხელისუფლებას. გამონაკლისი იყო ბოლო წლები, როდესაც ქვეყანაში ტერორი და შიში მძვინვარებდა, რაც, როგორც ზემოთ აღვნიშნე, მოხსნილია და ირკვევა, რომ ვლიდერობთ ჩვენ.

ერთი კი ნამდვილად უნდა ითქვას - მაჟორიტარი დეპუტატობა, მითუმეტეს დაბა ხარაგაულის დეპუტატობა, უაღრესად დიდი ტვირთია და თუ ვინმეს ჰგონია, რომ ფეხი ფეხზე გადადებული უნდა იჯდეს საკრებულოში, ნამდვილად ცდება.

და ბოლოს, ჩვენ ვერ შევძელით მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოლიდურ ნაწილთან მისვლა და ჩვენი აზრისა თუ საგიტაციო მასალის მიტანა, რადგან ხელისუფლების მიერ არ ხდება მოსახლეობასთან კანდიდატების საერთო შეხვედრების ორგანიზება (რაც ადრე ხდებოდა). ასევე ჩვენს პარტიას აქვს შეზღუდული მატერიალური შესაძლებლობა და ა. შ. ამიტომ მოგმართავთ თქვენ! ჩვენი სამშობლოს ერთგულ, პატრიოტ და მამაც ადამიანებს, განსაკუთრებით მათ, ვისთვისაც ცნობილია პატრიოტთა ალიანსის საქმიანობის შესახებ, გააქტიურდით თქვენს სოფელში, უბანში, სამეზობლოში და **მხარი დაუჭირეთ პარტია „დავით თარხან-მოურავი საქართველოს პატრიოტთა ალიანსს“ და მის მაჟორიტარ კანდიდატებს, შემოხაზეთ №8.**

**გფარავდეს ღმერთი.**

**ესაუბრა ნინო კაკანაძე**

# არჩევნები დიდი სტრესია ჩემთვის

მოგესალმებით სოფელ ვარძიაში მცხოვრები მზია ხიჯაკაძე. ყოველი არჩევნები ძალიან დიდ სტრესს და ცუდ მოგონებებს იწვევს ჩემს ოჯახში. მე გახლავართ ის ადამიანი, რომელიც 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს დამაკავეს, შეურაცხყოფა მომაყენეს მაშინდელმა რწმუნებულმა მამუკა ღონღაძემ და ახლანდელმა დეპუტატობის კანდიდატმა კობა გოგსაძემ. გაზეთ „ჩემი ხარაგაულის“ წინა ნომერში გამგებლობის კანდიდატი როინ ხიჯაკაძე წერს, რომ თურმე კობა ლურსმანაშვილმა ბოდიში უნდა მოუხადოს მამუკა ღონღაძეს, რადგან რაც მაშინ მოხდა, თურმე ჩემს მიერ მოგონილი ტყუილია.

ამ წერილით მინდა ვუთხრა გამგებლობის კანდიდატ როინ ხიჯაკაძეს, რომ თავი დაანებოს ჩემი ოჯახის გამოყენებას და არჩევნებში ქულების დაწერას.

მოგმართავთ, რომ ეს ზონდერბრიგადა, რომელიც ნაციონალებისთვის ხალხს ატერორებდნენ და ემუქრებოდნენ, ახლა კახა კუკავას პარტიას შეაფარეს თავი გადასარჩენად. კობა გოგსაძე იბრძვის ძალაუფლებისა და ფულისთვის. მისი დევიზია, ვარძია იყოს გაჭირვებული, მშიერი და იოლად დასამორჩილებელი. როინი ხიჯაკაძე წერს უსაფუძვლო საჩივრებს, მოტანილი ჭორების შედეგად, რომელსაც თვითონ თხზავენ და ხალხს აბრალებენ.

მინდა შევთხოვო უფალს, დაიფაროს ვარძია და ხარაგაული ასეთი საშიში ხალხის ხელისუფლებაში მოსვლისგან.

**მზია ხიჯაკაძე**

# როდის დასრულდება დაბა ხარაგაულის გაზიფიცირება

„დაბა ხარაგაულის გაზიფიცირების პროცესი, სავარაუდოდ, ნოემბერში დასრულდება,“ - ეს ინფორმაცია „სოკარ გაზი იმერეთის“ დირექტორმა **დავით ჯაიანმა** ხარაგაულში იმერეთის გუბერნატორთან ერთად სტუმრობისას გაავრცელა. „ხარაგაულის გაზიფიცირების პირველი ეტაპი, ცენტრალური სამკილომეტრიანი ქუჩის გაზიფიცრება დასრულებულია და უკვე გვყავს 250 აბონენტი. ამჟამად მიმდინარეობს გაზიფიცირების მეორე ეტაპი, - ეს არის დაახლოებით 6 კილომეტრამდე სიგრძის მაგისტრალი. უმოკლეს ვადაში, თვის ბოლომდე, დასრულდება 9 აპრილის ქუჩის (თავისი ჩიხებით), სოლომონ მეფის ქუჩის პირველი და მეორე ჩიხების, გალაკტიონის, დეკანოსიძის, ბუაჩიძის ქუჩების გაზიფიცირება. შემდეგ ვიწყებთ მესამე ეტაპს - შვიდკლომეტრიანი მაგისტრალის გაზიფიცირებას. 416 აბონენტს მიეწოდება ბუნებრივი აირი კიკნაძის, წერეთლის, დევდარიანისა და ნიორაძისქუჩებზე,“ - აღნიშნა დავით ჯაიანმა ხარაგაულში შეხვედრაზე.

მისივე ინფორმაციით, მალე დაიწყება იმის შესწავლა, თუ რამდენად არის შესაძლებელი ისლარსა და ფარცხნალში ძველი გაზსადენის აღდგენა.

დავით ჯაიანის განმარტებით, ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისიის გადაწყვეტილებით, თუ ოჯახს გაზიფიცირება 400 ლარი უჯდება, მას შეუძლია ერთად გადაიხადოს ეს თანხა, მაგრამ თუ თანხის ერთბაშად გადახდის შესაძლებობა არ აქვს, ისარგებლებს 600 ლარიანი უპროცენტო განვადებით.

დავით ჯაიანის ინფორმაციით, სექტემბერში განიხილავენ 2015 წელში განსახორციელებელ პროექტებს.

# მადონა წიქარიშვილს ხსოვნის პრიზზე

28 მაისს ბორითში ჩატარდა ტურნირი მძლეოსნობაში მადონა წიქარიშვილის ხსოვნის პრიზზე.

ტურნირში მონაწილეობდნენ ბორითის, ნადაბურის, ხევის, ვერტყვიჭალის, ვაშლევის, ღორეშის და ახალციხის სოფელ აწყურის საჯარო სკოლების ვაჟებისა და გოგონების ნაკრები გუნდები.

ტურნირი მიზნად ისახავდა მძლეოსნობაში საქართველოს ნაკრების წევრის, მწვრთნელ-მასწავლებელ მადონა წიქარიშვილის გახსენებას, მოსწავლე სპორტსმენთა ურთიერთგაცნობას და რაიონული ნაკრებისთვის მოსწავლეთა შერჩევას. ტურნირის ორგანიზებულად ჩატარებაში მონაწილეობდნენ სპორტის მასწავლებლები: მარლენ გრიგალაშვილი (ხევი), სულიკო და ლევან დონაძეები (ბორითი), გია შუბითიძე (ნადაბური), დავით წიქარიშვილი (ვაშლევი), ნუგზარ კაპანაძე (ვერტყვიჭალა), თორნიკე კურტანიძე (ღორეშა), ლაშა გოგოლაძე (აწყური).

შეჯიბრებას ესწრებოდნენ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სპორტსკოლის, საგანმანათლებლო რესურსცენტრის, განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის წარმომადგენლები, რომლებმაც ტურნირზე ისაუბრეს მადონა წიქარიშვილის პიროვნებასა და ტურნირის მნიშვნელობაზე. აწყურის საჯარო სკოლის წარმომადგენლებმა გაიხსენეს მადონა წიქარიშვილის მასწავლებლობის წლები მათ სკოლაში. საქასრიელი მადონა წიქარიშვილი ოჯახის შექმნის შემდეგ ცხოვრობდა და ასწავლიდა აწყურში. შეჯიბრებას ესწრებოდნენ მადონა წიქარიშვილის დედა ნუნუ ბლიაძე და შვილი გიორგი.

ქალბატონმა ნუნუმ მადლობა გადაუხადა ტურნირის ორგანიზატორებს, მონაწილეებსა და ყველა იმ პიროვნებას, ვინც სულით და გულით გაიზიარა ტურნირის ჩატარების მნიშვნელობა.

ტურნირი დაძაბულად, საინტერესოდ, შედეგიანად წარიმართა. კარგი შედეგები აჩვენეს სიგრძეზე მხტომელებმა, 1000, 200, 60 მეტრზე მორბენლებმა და ბირთვის მკვრელებმა.

ტურნირში გამოვლინდნენ ჩემპიონები და პრიზიორები მძლეოსნობის 5 სახეობაში შესაბამისი ადგილების მიხედვით:

**60 მ. სირბილი** ვაჟები: ვაჟა ხაჩიძე (ხევი), თევდორე ტაბატაძე (ნადაბური), რეზო ბარბაქაძე (ბორითი); გოგონები: თამარ ტაბატაძე (ნადაბური), ნინო ბარბაქაძე (ბორითი), მარგალიტა გელაშვილი (ნადაბური).

**200 მ. სირბილში** ვაჟები: ლევან გელაშვილი (ნადაბური), გიორგი გრიგალაშვილი (ხევი), ვაჟა ხაჩიძე (ხევი); გოგონები: თაკო გრიგალაშვილი, თამარი ტაბატაძე (ნადაბური), თამარ სებისკვერაძე (ბორითი).

**1000 მ. სირბილში** ვაჟები: მამუკა წიქარიშვილი (ბორითი), გიორგი გრიგალაშვილი (ხევი), გრიგოლ მუმლაძე (აწყური); გოგონები: ნინო ბარბაქაძე (ბორითი), მარიამ ხარშილაძე (ნადაბური), ფიქრია ბარბაქაძე (ბორითი).

**ბირთვის კვრა** ვაჟები: რომან გელაშვილი (ნადაბური), გიორგი გელაშვილი (ნადაბური), გიორგი გრიგალაშვილი (ხევი); გოგონები: თამარ ტაბატაძე (ნადაბური), სალომე კურტანიძე (ბორითი), ეკა შველიძე (ხევი).

**სიგრძეზე ხტომა** ვაჟები: თევდორე ტაბატაძე (ნადაბური), რომან გელაშვილი (ნადაბური), ლევანი გორგაძე (ხევი); გოგონები: ნინო ბარბაქაძე (ბორითი), დიანა გელაშვილი (ნადაბური), ნინო ხაჩიძე (ხევი).

ტურნირის ჩემპიონები და პრიზიორები დაჯილდოვდნენ შესაბამისი ხარისხის სიგელებითა და პრიზებით, რომლებიც დააწესა მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრმა, განათლების, კულტურის, სპორტის სამსახურმა და სპორტსკოლამ.

მადონა წიქარიშვილის სახელობის პრიზი გადაეცა ნადაბურის საჯარო სკოლის მძლეოსანთა ნაკრებ გუნდს. ეს ტურნირი ყოველწლიურად 28 მაისს გაიმართება.

**სულიკო დონაძე**

ბორითის საჯარო სკოლის სპორტის მასწავლებელი

# ვულოცავთ სპორტსმენებს




გასულ კვირას თბილისში გაიმართა მსოფლიოსა და ევროპის შეჯიბრებისთვის შესარჩევი ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში. ტურნირში ხარაგაულის სახელით მონაწილეობდნენ ლაშა გიგაშვილი და თედო ებანოიძე. მათ ვერცხლის მედლები მოიპოვეს. ვულოცავ სპორტსმენებს წარმატებას და ვუსურვებ კიდევ ბევრჯერ გაახარონ ხარაგაულელები.

**ფოტოზე:** თედო ებანოიძე ასპარეზობისას

# გთავაზობთ დასვენებას

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირი (სპმთპ) გთავაზობთ დასვენებას შეღავათიან ფასებში:

**ფყნეთი** - სპმთპ-ის სასწავლო ცენტრი - 3-4 ადგილიანი კეთილმოწყობილი ნომრებით, ინდივიდუალური და საერთო სველი წერტილებით;

ღამისთევის ღირებულებაა წევრისათვის 6 ლარი + 17 ლარი (კვება); არაწევრისათვის 12 ლარი + 17 ლარი (კვება); ლუქსი: წევრისათვის 8 ლარი + 17 ლარი (კვება); არაწევრისათვის 16 ლარი + 17 ლარი (კვება). დასვენების სეზონია 10 ივლისი - 10 სექტემბერი. დასვენების ხანგრძლივობაა 10 დღე.

**კოჯორი** - სპმთპ-ის სასწავლო ცენტრი - 3-4-5 ადგილიანი კეთილმოწყობილი ნომრები; საერთო სველი წერტილებით; ღამისთევის ღირებულებაა წევრისათვის 5 ლარი + 17 ლარი (კვება); არაწევრისათვის 8 ლარი +17 ლარი (კვება). დასვენების ხანგრძლივობაა 10 დღე.

**ქობულეთი** - კერძო სახლი ლესელიძის №3. 2-3-4-5 საწოლიანი ოთახები; ღამისთევის ღირებულება კვების გარეშე წევრისათვის 10 ლარი; არაწევრისათვის 13 ლარი;

**სურამი** - 2-3-4 ადგილიანი ნომრები; ღამისთევის ღირებულებაა სამჯერადი კვებით წევრისათვის 18 ლარი, არაწევრისათვის 25 ლარი.

დაუკავშირდით ხარაგაულში, ლალი სებისკვერაძეს, სპმთპ-ის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარეს მისამართზე - 9 აპრილის ქ. №15 ტელ.: 577 34 81 43.

# მიაქციეთ ყურადღება - ამერიკული თეთრი პეპელა



ამერიკული თეთრი პეპელა საკარანტინო მავნებელია. გავრცელებულია მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში, ხოლო 1976 წლიდან აღინიშნა დასავლეთ საქართველოში. აზიანებს 300-ზე მეტი სახეობის მცენარეს, განსაკუთრებით თუთას, ვაშლს, მსხალს და სხვ.

მავნებელი გამოირჩევა დიდი ნაყოფიერებით. ზრდასრული პეპელა დებს 200-დან 2000-მდე კვერცხს მცენარის მზით განათებული ტოტების ფოთლების ქვედა მხარეს. კვერცხები ღია ფერის ქეჩით არის დაფარული.

ახალგამოჩეკილი მატლები ქმნიან აბლაბუდას ბუდეს, 15-20 დღის შემდეგ კი ტოვებენ და სახლდებიან ხეზე. მავნებელი ამ პერიოდში, ივნისის მეორე ნახევრიდან, ჩვენთან არის აბლაბუდის ბუდეში. მიაქციეთ ყურადღება, სადაც ნახავთ აღნიშნულს, უნდა გაანადგუროთ მექანიკურად, ხის ტოტზე მოწვათ ჩირაღდნის საშუალებით. რადგან ხარაგაულის მუნიციპალიტეტში მავნებლის გავრცელება დაბალია, ეს მეთოდი არის უსაფრთხო.

გასულ წელს მავნებელი დაფიქსირდა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის რამდენიმე სოფელში, ერთეული სახით. წელს ამერიკული თეთრი პეპელას პირველი თაობა იქნება გაცილებით ნაკლები, ვიდრე გასულ წელს.

გახსოვდეთ! თქვენს მიერ გატარებული მექანიკური და აგროტექნიკური ღონისძიებები მნიშვნელოვნად შეამცირებს მავნებლის გავრცელებას, რაც თქვენი მცენარეებისა და მოსავლის გადარჩენის გარანტიაა.

**ნინო საxვაძე**

მობ.: 591 11 34 72

---

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობა ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, სასიქადულო მამულიშვილი

**ომარ ანდროს ძე შარიქაძე**

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახსა და ახლობლებს.

---

მაყვალა, ვლადიმერ, დავით გელაშვილები ოჯახებით იუწყებიან დეიდის

**ნუშა ცისკაძე-ვეფხვაძის**

გარდაცვალებას.

---

სოლომონ მეფის ქ. №56(ბ) კორპუსში მცხოვრები მეზობლები თანაუგრძნობენ სოსო თაბუკაშვილის ოჯახს სიძის

**მერაბი ფერაძის**

გარდაცვალების გამო.

---

სოლომონ მეფის ქ. №56(ბ) კორპუსში მცხოვრები მეზობლები თანაუგრძნობენ ვლადიმერ გელაშვილს დეიდის

**ნუშა ვეფხვაძის**

გარდაცვალების გამო.

---

უახლოესი მეზობლები ოჯახებით თანაუგრძნობენ ვანო, კაკო, ნონა ყრუაშვილებს მეუღლის, დედის და დედამთილის

**სონა ტაბატაძე-ყრუაშვილის**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

# ციალა კვანტრიშვილი - ხიჯაკაძის გამოსათხოვარი



„ვიხსენებთ ახლა და
არ გვინდა, რომ გავიხსენოთ,
დამწუხრებულ გულს
მივუმატოთ კიდევ ნაღველი,
დაცარიელდა ჩვენი სოფლის
პატარა კუთხე,
რაც თქვენ წახვედით!“

ჩვენს სამეზობლოს გამოაკლდა კეთილშობილი, სათნო, ღირსეული შვილების აღმზრდელი დედა ციალა კვანტრიშვილი-ხიჯაკაძისა. ქალბატონი ციალა თითქმის ექვსი ათეული წელია, რაც სოფელ ვარძიის ხიჯაკაძეების უბანში ცხოვრობდა. ჩვენო ციალა, თქვენ ხომ თქვენი დიდი ოჯახის ბურჯი იყავით. უჩუმრად, მუხლჩაუხრელად შრომობდით, ერთგულად სწიეთ ცხოვრების ჭაპანი საყვარელ მეუღლე გოგი ხიჯაკაძესთან ერთად. ვაგლახ რომ, მეუღლე ადრე გამოგეცალათ. ცხოვრებას ღირსეული და სახელოვანი შვილები, სათაყვანებელი შვილიშვილები და შვილთაშვილები გილამაზებდნენ. გული გვტკივა, რომ უძლურნი აღმოვჩნდით სიკვდილის წინაშე.

ქალბატონო ციალა, თქვენ არა მარტო ჩვენს სამეზობლოში მოიპოვეთ პატივისცემა და სიყვარული, არამედ მთელს სოფელში. თქვენ ხომ ვარძიის ახალგაზრდობამ და მთლიანად ხარაგაულის რაიონმა გაგიცნოთ, როგორც სახალხო მთქმელი.

მშვიდობით, ჩვენო კეთილშობილო, ერთგულო, საიმედო მეზობელო და მეგობარო. ცხოვრების ბოლომდე გაგვყვება თქვენი ბრძნული დარიგება, იუმორი და გულიანი, გადამდები სიცილი.

მსუბუქი იყოს თქვენს გულზე დაფენილი ვარძიის დედაღვთისას წმინდა მიწა.

თქვენს საფლავს, ვარძიის წმინდა მიწაზე დავანებულს, არასოდეს მოაკლდება პატივისცემა, ალალი ცრემლი და თქვენი სიცოცხლესავით ლამაზი ყვავილები.

**სოფელ ვარძიის ხიჯაკაძეების უბნის მეზობლები**



# სათავგადასავლო ტურ-თამაშების დაჯილდოება

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის განვითარებისა და შიდა ტურიზმის ხელშეწყობის ცენტრის (დირექტორი მამუკა ჭიპაშვილი) ინიციატივით 29 აპრილიდან 31 მაისის ჩათვლით ხარაგაულში მიმდინარეობდა სათავგადასავლო ტურ-თამაშები, რომელშიც ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ყველა და თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ძევრის საჯარო სკოლების გუნდები მონაწილეობდნენ. თამაში ორ ტურად მიმდინარეობდა და თითოეული ტური სხვადასხვა სათავგადასავლო კონკურსებით იყო დატვირთული. პირველ ტურში, რომელიც სოფელ ხევში, ქუცუმას მთაზე გაიმართა, გაიმარჯვეს საღანძილის, ვერტყვიჭალის, მოლითის, წყალაფორეთისა და ძევრის სკოლების გუნდებმა. შეჯიბრის მეორე ტური ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე, მარელისის ხერგილზე ჩატარდა.

გასულ პარასკევს ხარაგაულში, ღია ესტრადაზე გაიმართა ტურ-თამაშებში მონაწილე გუნდების დაჯილდოება. გუნდებს გადაეცათ სამახსოვრო პრიზები და სიგელები. მესამე ადგილზე გავიდნენ მოლითის, წყალაფორეთისა და ვერტყვიჭალის საჯარო სკოლების გუნდები. მეორე ადგილი დაიკავა ხევის საჯარო სკოლის გუნდმა, ხოლო პირველ ადგილზე გავიდა საღანძილის საჯარო სკოლის გუნდი. ვარძიის სკოლის გუნდის წევრ **მირანდა ხიჯაკაძის** თქმით, ტურ-თამაშებში მონაწილეობა მისთვის ძალიან დიდი ბედნიერება იყო, რადგან მონაწილეებმა ძალიან იხალისეს და უამრავი მეგობარი შეიძინეს. ხევის სკოლის სპორტის მასწავლებელმა **მარლენ გრიგალაშვილმა** აღნიშნა, რომ „ასეთი თამაშები ძალიან მნიშვნელოვანია მომავალი თაობის სულიერი და ფიზიკური აღზრდისათვის. საჭიროა უფრო დიდი მოტივაცია, რადგან ბავშვები აქტიურად ჩაერთონ ასეთ ღონისძიებებში.“ მარელისის საჯარო სკოლის მაწავლებელ **გიორგი ჭყოიძის** თქმით, „მოსწავლეები მსგავსი თამაშებით სწავლობენ გუნდურ თამაშს და ერთმანეთის მხარში დგომას. ძალიან კარგი პროექტია და სასურველია კიდევ ჩატარდეს.“ გამარჯვებული, საღანძილის საჯარო სკოლის გუნდის კაპიტანი **ნათია კიკნაძე** ემოციებს ვერ მალავდა. მან მადლობა გადაუხადა მამუკა ჭიპაშვილს და ამ თამაშის ყველა ორგანიზატორს ასეთი სიხარულისათვის. თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ძევრის საჯარო სკოლის დირექტორ **მანუჩარ ფანჩულიძის** თქმით, მისთვის და მისი მოსწავლეებისთვის „ეს დაუვიწყარი დღეები იყო. მსგავსი ღონისძიებებით მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესი ინერგება. ჩვენ მზად ვართ, ხარაგაულის ტურიზმის სამსახურის სხვა ღონისძიებებშიც ჩავერთოთ.“

ღონისძიების ორგანიზატორი **მამუკა ჭიპაშვილი** ამბობს, რომ ღონისძიება მოეწყო გამგეობის კულტურის სამსახურთან და საგანმანათლებლო რესურსცენტრთან თანამშრომლობით. პროექტის ბიუჯეტი 1100 ლარს შეადგენდა, აქედან ტრანსპორტირებაში დაიხარჯა 750 ლარი, პრიზებისთვის - 300 ლარი, თუმცა პრიზები კულტურის სამსახურმა და რესურსცენტრმაც შეიძინა. რეკვიზიტებისთვის დაიხარჯა 50 ლარი. მამუკა ჭიპაშვილის თქმით, ეს ღონისძიება ტრადიციად დამკვიდრდება და მისი მასშტაბებიც გაიზრდება.

მამუკა ჭიპაშვილის ინფორმაციით ხარაგაულის შიდა ტურიზმის ხელშეწყობის ცენტრი ემზადება საზაფხულო ბანაკების, გასართობი და სპორტული ღონისძიებების მოსაწყობად.

**თამთა გოგოლაძე**

# მოხატული კერამიკა



„ხარაგაულის ისტორიული მუზეუმი მრავალი ინოვაციური პროექტის ავტორია. ეს პროექტები ხელს უწყობს ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლებას. სასურველია თუ მათში მასწავლებლებიც აქტიურად ჩაერთვებიან,“ - აღნიშნა ხარაგაულის ისტორიული მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელმა ეკა შველიძემ 5 ივნისს მუზეუმში პროექტის „მოხატული კერამიკა“ პრეზენტაციაზე. პროექტში ხარაგაულის #2 საჯარო სკოლის მოსწავლეები მონაწილეობდნენ. პროექტის ორგანიზატორის, სოფო ჩუბინიძის, თქმით იმისათვის, რომ ახალგაზრდების ცხოვრებაში მუზეუმი უფრო საინტერესოდ დამკვიდრდეს, მათთვის იგეგმება საგანმანათლებლო პროექტები, - ერთ-ერთია „მოხატული კერამიკა“, რომელიც მეთუნეობის უძველესი დარგის გაცნობასა და მის პოპულარიზაციას ემსახურება. პროექტში, სურვილის შესაბამისად, ხარაგაულის ყველა საჯარო სკოლა ჩაერთვება. მოსწავლეები თიხის ჭურჭელს მოხატავენ ორნამენტებით. წლის ბოლოს მოეწყობა საუკეთესო ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა.

**თამთა გოგოლაძე**

# ვულოცავთ!

დიდი სიყვარულით ვულოცავთ **თამრიკო მაქაძეს** და **ბადრი ტყეშელაშვილს** ქალიშვილის ქორწინებას. ვუსურვებთ ჩვენ საყვარელ **ხატია ტყეშელაშვილს** და მის მეუღლეს **თენგო ბლიაძეს** ყოველივე საუკეთესოს. მოშენდით და მომრავლდით, შვილებო. ღმერთი და ადამიანები იყვნენ თქვენი თანამდგომნი.

**გრიშაშვილის ქუჩის უახლოესი მეზობლები ელვარდი გიორგიძე, მიშიკო ხაჩიძე, გიზო გველესიანი, გელა კვირიკაშვილი, კობა ტაბატაძე და გურამი სახვაძე ოჯახებით**

***

**მანანა ტაბაშიძეს** ვულოცავთ პირველი შვილიშვილის ამქვეყნად მოვლინებას. პატარა ქალბატონსა და მთელ ოჯახს ვუსურვებთ სიხარულსა და ღვთის წყალობას.

**„ჩემი ხარაგაულის“ რედაქცია**

***

ჩემს საყვარელ მეგობარს **მანანა ტოროშელიძეს** და **გონერი ლომიძეს** ვულოცავთ შვილის, **გივი ლომიძის** თეოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის წოდების მინიჭებას. ვუსურვებთ წინსვლა და წარმატებები არ მოკლებოდეს მის ოჯახს მთელი ცხოვრების მანძილზე.

**ირმა წასიძე, დათო ბარბაქაძე**

# მადლობა

ძალიან მძიმე მდგომარეობაში აღმოვჩნდი ასთმური და ალერგიული შეტევების გამო.

გამოვიძახეთ სასწრაფო დახმარება, რომელიც მართლაც სწრაფად გაჩნდა ჩვენს სახლთან.

მადლობა სასწრაფო დახმარების ხელმძღვანელობას ასეთი ოპერატიულობის, პროფესიონალიზმისა და პასუხისმგებლობისათვის.

უღრმესი მადლობა სასწრაფო დახმარების ექიმს ლატავრა ნინიკაშვილს და ექთან შორენა ლოლაძეს ჩემთვის გაწეული დახმარებისათვის. რამდენიმე საათში შევძელი ფეხზე წამოდგომა.

ქალბატონებო, უფალი იყოს თქვენი მფარველი. დიდ წარმატებებს გისურვებთ პროფესიულ საქმიანობაში.მადლობა სასწრაფო დახმარების მძღოლს, რომელმაც არ დაიზარა და სოფელში ეძება ჩვენი სახლი.

**ლენა (ნელი) ფერაძე**
ვახანი

# იყიდება სახლი

იყიდება ორსართულიანი სახლი სოფელ ლაშეში, კარგ მდგომარეობაში, მიწის ნაკვეთითა და სასოფლო-სამეურნეო სათავსოებით. ფასი შეთანხმებით. დაინტერესებულმა პირებმა დარეკეთ 555 36 20 20.

# შევისყიდი

შევისყიდი „სტეკლობლოკსა“ და 300 მმ დიამეტრის რკინის მილს. ტელ: 593 34 74 42; 22 17 81.

# ამინდი





**დ. ხარაგაული**

12.06 - ცვალებადი მოღრუბლულობა ნალექით, დღე +21ºC, ღამე +16ºC;
13.06 - ცვალებადი მოღრუბლულობა უნალექოდ, დღე +22ºC, ღამე +15ºC;
14.06 - მზიანი დარი, დღე +27ºC, ღამე +17ºC;
15.06 - მზიანი დარი, დღე +30ºC, ღამე +20ºC;
16.06 - ცვალებადი მოღრუბლულობა უნალექოდ, დღე +33ºC, ღამე +21ºC;
17.06 - ცვალებადი მოღრუბლულობა უნალექოდ, დღე +23ºC, ღამე +15ºC.

**კიცხი**

12.06 - მოღრუბლულობა ნალექით, დღე +20ºC, ღამე +15ºC;
13.06 - ცვალებადი მოღრუბლულობა ნალექით, დღე +20ºC, ღამე +14ºC;
14.06 - მზიანი დარი, დღე +25ºC, ღამე +16ºC;
15.06 - მზიანი დარი, დღე +29ºC, ღამე +18ºC;
16.06 - ცვალებადი მოღრუბლულობა უნალექოდ, დღე +31ºC, ღამე +19ºC;
17.06 - ცვალებადი მოღრუბლულობა უნალექოდ, დღე +23ºC, ღამე +15ºC.

**ბორითი**

12.06 - ცვალებადი მოღრუბლულობა ნალექით, დღე +22ºC, ღამე +14ºC;
13.06 - ცვალებადი მოღრუბლულობა უნალექოდ, დღე +21ºC, ღამე +10ºC;
14.06 - მზიანი დარი, დღე +26ºC, ღამე +11ºC;
15.06 - მზიანი დარი, დღე +29ºC, ღამე +15ºC;
16.06 - ცვალებადი მოღრუბლულობა უნალექოდ, დღე +31ºC, ღამე +16ºC;
17.06 - ცვალებადი მოღრუბლულობა უნალექოდ, დღე +23ºC, ღამე +15ºC.

**მოლითი**

12.06 - ცვალებადი მოღრუბლულობა უნალექოდ, დღე +20ºC, ღამე +12ºC;
13.06 - ცვალებადი მოღრუბლულობა უნალექოდ, დღე +20ºC, ღამე +8ºC;
14.06 - მზიანი დარი, დღე +24ºC, ღამე +8ºC;
15.06 - მზიანი დარი, დღე +28ºC, ღამე +12ºC;
16.06 - ცვალებადი მოღრუბლულობა უნალექოდ, დღე +29ºC, ღამე +13ºC;
17.06 - ცვალებადი მოღრუბლულობა უნალექოდ, დღე +23ºC, ღამე +15ºC.

# მიმდინარეობს გაზეთზე „ჩემი ხარაგაული“ ხელმოწერა

გამოიწერეთ გაზეთი „ჩემი ხარაგაული“ და ყოველ პარასკევს მიიღეთ ხარაგაულის მუნიციპალიტეტსა და ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე პროცესების შესახებ სანდო და ობიექტური ინფორმაცია.

გაზეთი ღირს 3 თვით 5 ლარი;
6 თვით - 10 ლარი;
ერთი წლით - 20 ლარი.

დაგვიკავშირდით გაზეთ „ჩემი ხარაგაულის“ რედაქციაში ტელეფონებით: 22-16-27; 593 900 501; 593 35 65 80; 555 57 45 78 ან მობრძანდით მისამართზე: ხარაგაული, სოლომონ მეფის ქ. №59, მეორე სართული, შემოსასვლელი შენობის უკანა მხრიდან. მობრძანდით, გელით.

**გაზეთ „ჩემი ხარაგაულის“ რედაქცია**

# აქცია „ჩემი შესაწირი ტაძრის მშენებლობას“ გრძელდება

მაისის თვეში ტაძრის მშენებლობის შესაწირი შემოიტანეს:

1. სასულიერო სკოლა-გიმნაზიის თანამშრომლებმა - 45 ლარი;
2. უბისის საჯარო სკოლა - 50 ლარი;
3. აიპ „ხარაგაულდასუფთავების“ თანამშრომლები - 27 ლარი;
4. აიპ „ხარაგაულკეთილმოწყობის“ თანამშრომლები - 25 ლარი;
5. ს/ს „იმერის“ თანამშრომლები - 8 ლარი;
6. მოსწავლეთა სახლის თანამშრომლები - 10 ლარი;
7. საზოგადოებრივი ჯანდაცვის თანამშრომლები - 20 ლარი;
8. ალავიძე პავლე-იგორეთი - 20 ლარი;
9. ხუტაშვილი დალი- ჩხერი - 10 ლარი;
10. ხარაძე ზურაბი-ბოღოლიანი - 50 ლარი;
11. შარიქაძე ქეთევანი-ღუდუმექედი - 40 ლარი;
12. უცნობი - 10 ლარი;
13. უცნობი - 20 ლარი;
14. ადგილობრივი ბიუჯეტიდან სუბსიდია - 6 000 ლარი;
15. ტაძრის მშენებლობაზე ფიზიკურად იმუშავეს ვარძიიდან სამმა კაცმა; სახანძრო, კეთილმოწყობა, პატარა ხარაგაული - 10-10-მა კაცმა; რკინიგზის უბანი-6 კაცმა.

ტაძრის მშენებლობის დირექცია მადლობას უხდის ყველას, ვინც შესაწირი გაიღო, ვინც ფიზიკურად იმუშავა და ვისაც უხარია ამ ტაძრის აშენება.

პატივისცემით,
**ცეზარ ბუზულაშვილი**
ტაძრის მშენებლობის დირექტორი

მთავარი რედაქტორი ლაურა გოგოლაძე 593 900 501
რედაქტორის მოადგილე ნინო კაპანაძე 593 35 65 80
თამთა გოგოლაძე 555 57 45 78
დიზაინერი შოთა ლომიძე 557 10 20 47 shotiko@lomidze.info
რედკოლეგიის წევრები: სოფო ფერაძე, ანი ჭიპაშვილი, სალომე ბუზნიკაშვილი, გიორგი ლომიძე, ნინო ბლიაძე, ნინო მჭედლიძე, მარიამ მაქაძე, ანა გოლუბიანი, ნინო ქველიაშვილი, გვანცა ლომიძე, თიკო ლურსმანაშვილი, ხვიჩა ჭყოიძე
მის.: ხარაგაული, სოლომონ მეფის №59
ტელ.: 0 433 22 16 27
593 900 501
gogoladze.laura@gmail.com
გაზეთი რეგისტრ. №47/5-ბ-12